ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ზაქარია კოლელიშვილის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

დანართი 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი /ზ. კოლელიშვილი/

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელია რაოდენობა 5 ფურცელი

№10/18514 02.14.2015

თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნაძალადევის (სანზონის) მაჟორიტარი დეპუტატის ზაქარია (ზაზა) კოლელიშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით!

2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა და აი, ჩვენც შევხვდით ერთმანეთს! თუმცა ერთი წუთითაც არ დამვიწყებია ის შეხვედრები, რომლებიც ხალხთან, ჩემს ამომრჩეველთან მქონდა არჩევნების წინ. არ დამვიწყებია არც ის, რას გპირდებოდით და არც ის, რა პრობლემებზე მელაპარაკებოდით. ერთი წელი არაა ბევრი, მაგრამ არც ცოტაა იმისთვის, რომ თვალი გადავავლო ჩემს საქმიანობას და თქვენთან ერთად შევაფასო უკვე გაკეთებული, თუ ჯერაც გასაკეთებელი ან სამომავლოდ მოსაგვარებელი პრობლემები.

სანზონაში ამომრჩეველთა რაოდენობა – 35000 ადამიანია და სრულიად გათვითცნობიერებული მქონდა რა რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს ვეჭიდებოდი, მაგრამ ყოველდღიურობამ კიდევ უფრო მეტი და უფრო რთული პრობლემები წარმოაჩინა.

ბიურო მუშაობას შეუდგა 2014 წლის 1 აგვისტოდან. მოქალაქეთა მიღების დღედ გამოცხადებულია ოთხშაბათი, თუმცა, პრაქტიკულად ჩვენ მოქალაქეებს ვხვდებით და მათ პრობლემებს ვისმენთ ყოველ დღე. დღემდე მივიღე 5 000-ზე მეტი მოქალაქე და რაც მეტ ადამიანს ვხვდები, უფრო მეტად იკვეთება თუ რა არის მოსახლეობის ძირითადი საწუხარი. კვლავ მთავარ პრობლემად რჩება უმუშევრობა და სოციალური პირობების გაუმჯობესება, სამედიცინო დაფინანსება, ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება, სკვერებისა და სტადიონების მოწყობა-მოწესრიგება, განათლების დაფინანსება, უფასო სასადილოების მენეჯმენტისა და მომსახურების მოწესრიგება, მწვავე ავარიული შენობების გამაგრება–გაძლიერება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების პრობლემა, ბაგა–ბაღებში ადგილების უკმერისობა, მიწისძვრით დაზარალებულთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მიწებისა და ბინების პრივატიზების საკითხი, დენისა და გაზის დავალიანებების ჩამოწერა–რესტრუქტურიზაცია, ასე რომ, პრობლემათა ჩამონათვალი უდავოდ დიდია და კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

ბიუროში შემოსულ თითოეულ წერილი განიხილება ბიუროსთან ერთად და ხარისხდება სიმწვავისა და გადაუდებელი პრობლემების მიხედვით. რიგი განაცხადებისა გრძელვადიანია და სათანადო შესწავლასა და ქალაქის მთავრობის ჩარევას საჭიროებს. არის საკითხები, რომელიც წამიერადაა მოსაგვარებელი და ასეთ საკითხებში შედის პირველ რიგში ადანიანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული,

სამედიცინო დაფინანსების პრობლემები, რომლებიც ყველაზე წარმატებულად ხორციელდება, რაშიც ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის საქალაქო სამსახური,რომელმაც ჩვენი მიმართვის საფუძველზე 2000ზე მეტ მოქალაქეს დაუფინანსა როგორც მედიკამენტები, ასევე სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციები.

სამწუხაროდ უფასო სასადიოლების საკითხთან დაკავშირებით არანაირი ძვრა არ არის. ხშირად შემოდის სოცუალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც იმყოფებიან დამატებით სიებში, ეგრეთწოდებულ „რეზერვში" და ითხოვენ საკვებით დაკმაყოფილებას, თუმცა უშედეგოდ. განსაკუთრებით ხშირია საჩივარი ჩარგლის ქუჩაზე მდებარე უფასო სასადილოს მისამართით. მიუხედავად არა ერთი მოთხოვნისა აქ სიტუაცია უცვლელია. ვთვლი რომ საჭიროა კიდევ ერთი სასადილოს გახსნა, რადგან რეზერვში მყოფი ადამინების რიცხვმა 700ს გადააჭარბა.

დამეთანხმებით ძნელია ისმინო მშიერი მოქალაქეების მუდარა. არა და, სანზონა ძირითადად ინჟინერთა, მუშათა და ხელობის მცოდნე ადამიანთა უბანია. აქ მუშაობდა ელმავალმშენებელი, ჩარხმშენებელი, აბრეშუმისა, სამკერვალო და ძმრის ქარხნები. ათასობით ადამიანი დარჩა დაუსაქმებელი და თავისდაუნებურად შემოსავლის გარეშე. ხშირად ნახავთ, საერთოსაცხოვრებლის ერთ ოთახიან ბინაში, სამი თაობის წარმომადგენლებს, უმძიმესი პირობებით.

განსაკუთრებით მძიმეა ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა. ყველაზე სავალალო მდგომარეობა გვაქვს:

გვაზაურის ხევი

–დასახლებულია 40მდე ოჯახი, სახლების 80%მიწისძვრითაა დაზიანებული და ავარიულია. მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

ხევისუბნის ქუჩა

–ავარიულია სახლების 60%. არაა მიწისქვეშა კომუნიკაციები, მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

რატევანის ქუჩა

–ავარიული სახლები, გზის საფარის არ არსებობა.

გოგაშენის ქუჩა

–ავარიული სახლებია, დაზიანებული მიწისძვრით.

ქვიშხეთის ქუჩა

–მიწისძვრით დაზიანებული სახლები

ზვარეთის ქუჩა

–ავარიული სახლები, მიქისძვრით დაზიანებული. არ არსებობს მიწისქვეშა კომუნიკაციები, შესაკეთებელია სახურავები!

ნაგომარის ქუჩა

–ავარიული კორპუსი

ჩარგლის ქუჩა

–ავარიული და მიწისძვრით დაზიანებული სახლების 20%. აქ N50 ავარიული შენობაა, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას.შენობაში 6 ოჯახი ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში. ვფიქრობთ და მიმდინარეობს ინვესტორის მოძიება.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს სხვა ქუჩებისაც სადაც თითო და ორ–ორი ავარიული სახლია ასევე, მაგრამ ყველა აღრიცხულია და თითქმის ყველგან მოხერხდება მეტნაკლებად მდგომარეობის გაუმჯობესება.

გასაკვირია და დღეს კიდევ არსებობს თბილისში ქუჩები, სადაც არაა დენი და გაზი, ასეთია მაგალითად ხევისუბანი, გოგაშენისა და მისი მიმდებარე ქუჩები, მიზეზი კი ისაა, რომ ბინები დასაკანონებელია, არა და ხალხი ათწლეულებია იქ ცხოვრობს.

ბიუროში ასევე შემოსულია 68 სოციალურად დაუცველ პირთა განცხადება, რომლებიც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ და მათ სახლებს უდავოდ სჭირდება რეაბილიტაცია. ზოგი მათგანი რეაბილიტაციას აღარც ექვემდებარება. ავარიული ბინებიდან გასახლებულთა, სოციალურად დაუცველთა და უბინაო მოქალაქეებისთვის, ხელისუფლებისგან დაწესებულია უნიკალური შეღავათი, ასეთი მოქალაქეებისთვის ქირის საფასურის გადახდა, თუმცა, აქაც ხშირად იქმნება სერიოზული პრობლემები, რადგან გამგეობის სოციალურ სამსახურს არ აქვს შესაბამისი დაფინანსება.

ნაძალადევის რაიონის გამგეობის სოციალურ სამსახურს არა მხოლოდ ბინის ქირასთან დაკავშირებით უჭირს მოქალაქეების დაფინანსება, არამედ დიდ პრობლემას

წარმოადგენს ერთჯერადი სოციუალური დამხარებების გაცემაც (ფინანსდება ძალიან მწირი თანხებით, ან არ ფინანსდება) ვფიქრობ უპრიანი იქნება გაიზარდოს რაიონის სოციალური სამსახურის ბიუჯეტი.

რაც შეეხება განათლების დაფინანსებას, ამას საერთოდ ვერ ვახერხებთ და დამოკიდებულები ვართ მერიის პროგრამებზე.

ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით შედარებით ნაკლები პრეტენზიებია. ძირითად პრობლემას წარმოადგენს სტადიონებისა და სკვერების მოწესრიგება. თუმცა ჯერ არაფერი მითქვამს იმაზე, თუ რა გაკეთდა, რა სამუშაოები შესრულდა ერთი წლის განმავლობაში:

2015 წელს შესრულებული სამუშაოები:

ვთვლი, რომ ძალიან მცირედი გაკეთდა, რადგან, დიდი დრო დაეთმო პრობლემების გაცნობასა და შესწავლას, რადგან თითოეულ ადამიანს თავისი ინდივიდუალური პრობლემები აქვს და მისი პრობლემა სწორედ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისთვის და მისი ოჯახისთვის.

კარგად მუშაობს ამხანაგობების ინსტიტუტიც. 2015 წლის 1იანვრიდან 1 სექტემბრის ჩათვლით ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობას, საწზონის საუბნო ტერიტორიიდან მიმართა215 ამხანაგობამ. დაფინანსდა 72 განაცხადი, რომლის ანგარიშცწორების ღირებულება შეადგენს 517 350 ლარს.

დაფინანსდა:

მოსახლეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სპორტული მოედნებისა და სკვერების თაობაზე, ჩვენ უკვე მოვინიშნეთ ორმოცამდე ადგილი. გაკეთდა ამ ტერიტორიების ნახაზები, ფოტო გადაღება, საჭირო ინვენტარის ჩამონათვალი. საერთო ფართი სკვერებისა და სტადიონებისათვის შეადგენს 75000კვ. მეტრს, რომელშიც შედის როგორც ახალი მშენებლობები, ასევე უკვე არსებული, მაგრამ სარეაბილიტაციო ობიექტები.

ვფიქრობ, სათანადო ყურადღება აკლია მოზარდი თაობის და ახალგაზრდების კულტურისა და სამოქალაქო აზროვნების განვითარებას. სანზონაში არაა კინო, არაა ახალგაზრდული თავშეყრის დაწესებულება, არაა ადგილი სადაც მოზარდები შეეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას, დებატებს, შეხვდებიან პროფესიონალებს, საინტერესო ადამიანებს. ამისთვის მათ ქალაქის ცენტრში უწევთ გასვლა. ამ მხრივ უბნის დეცენტრალიზაციაც, სამომავლოდ, მეტად საშური საქმეა.

ბევრს ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მთლიანად სანზონა და როგორ მოხერხდეს მისი საინტერესოდ ჩართვა ქალაქის დაგეგმარებაში, რათა ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დასასვენებელი და გასართობი, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ობიექტები, დავასაქმოთ ადამიანები და მოვახერხოთ მოსახლეობისთვის ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების პირობების შექმნა.

მშენებლობის და ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე ჩვენი მოსაზრება გავაცანით ქალაქ თბილისის მერს: ბატონ დავით ნარმანიას და მივიღეთ დაპირება, რომ მომავალ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სანზონა, როგორც საჩვენებელი და საპილოტე რაიონი და აქედან გამომდინარე, თანმიმდევრულად და ეტაპობრივად შევქმნათ ქალაქდაგეგმარების პარალელურად საპროექტო სამუშაოები. დასაქყისისთვის რამდენიმე ობიექტი მსოფლიო და ევროპული სტანდარტების დონეზე მოწყობილი და სემდეგ ეს მაგალითი გავრცელდეს დედაქალაქის სხვა რაიონებზეც,ურბანული დაგეგმარების პრობლემური საკითხების კომპლექსურად გადაჭრის მიზნით. შევქმნათ ობიექტები, სადაც შესაძლებელი იქნება ცატარდეს სპორტული თუ გასართობი ღონისძიებები მთელი ქალაქის მასშტაბით!

ვფიქრობ ასევე საინტერესოა ჩვენი პროექტი მუნიციპალური ბინების მშენებლობის თაობაზე, რაც თავის თავში მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ სოციალურად დაუცველებისთვის სახელმწიფო ბინის გადაცემას დროებით სარგებლობისვის. ეს პროექტი განხილვის ფაზაშია და არ იქნება ურიგო, თუ დადებითად გადაწყდება.

დღეს თითქოს ფანტაზიად ჩანს ეს გეგმები, რადგან ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობა უამრავ სურპრიზს გვთავაზობს, მაგრამ თუ ახლავე არ დავგეგმეთ,

ხვალ გვიანი იქნება და სხვაგვარად არაფერი გამოვა. პიველ რიგში კი ადამიანების დასაქმებაზეა ზრუნვა საჭირო და საქართველოს ხელისუფლებისგან ამ პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრა. არიან ისეთებიც, რომელბმაც საკონკურსო გამოცდა, ერთხელ კი არა, ორჯერ ჩააბარეს წარმატებით. მათ შორის ბევრს აქვს სერიოზული პროფესიული წარსულიც, მაგრამ დღემდე ვერსად დასაქმდა.

და ბოლოს, ვიცით, რომ პრობლემა ძალიან ბევრია, ისიც ვიცით, რომ ხშირად გაუსაძლისიც, მაგრამ მერწმუნეთ, დიდი წინააღმდეგობების გადალახვა გვიწევს ჩვენც, თქვენს რჩეულებს და ძალასა და ღონეს არ დავიშურებთ, რომ არავინ სთქვას, ამას რა ენაღვლება, თვითონ ხომ გაინაღდაო. დიახ გავინაღდე, გავინაღდე ერთი წლის წინ ხალხის ნდობა, რომელიც მერწმუნეთ, ძალიან მძიმე და ძალიან საპატიო ტვირთია.